GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 23 – 30 Ağustos / აგვისტო

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	4.6 %

Ocak – Temmuz Döneminde Gürcistan'ın Dış Ticareti
საქართველოს საგარეო ვაჭრობა იანვარ ივლისში

2019 yılı Ocak – Temmuz döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 7 065.3 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla %0.2 daha az. İhracat 2 102.2 milyon ABD dolar (büyüme oranı %12.4), ithalat ise 4 963.1 milyon ABD dolar (düşme oranı %4.7) olmuştur. 2019 yılın Ocak-Temmuz döneminde negatif ticaret dengesi 2 860.9 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun %40.5 teşkil etmiştir. Aynı zamanda reeksport dışındaki ihracat 1 311.9 milyon dolara ulaşmıştır (büyüme oranı %1.6).

2019 yılı Ocak – Temmuz döneminde Gürcistan'dan Avrupa Birliği ülkelerine yapılan ihracatın cirosu 503.5 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla %20.6 fazladır ve ülkenin toplam ihracatının yüzde 24,0'ını oluşturmaktadır. BDT ülkelerinde yapılan ihracat cirosu ise 1 105.8 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam bir önceki yıla kıyasla %26.6 fazladır ve ülkenin toplam ihracatının yüzde 52.6'ını oluşturmaktadır.

İthalata gelince - AB'den ithal edilen malların hacmi 1 280,2 milyon ABD dolar, ülkenin toplam ithalatının yüzde 25.8'ını oluşturmuştur (azaltma oranı %12.6). BDT ülkelerden ithal edilen malların hacmi ise 1 303.1, ülkenin toplam ithalatının yüzde 26.3'ını oluşturmuştur (azaltma oranı %14.3)

2019 yılı Ocak – Temmuz döneminde Gürcistan'ın en büyük on ticaret ortağı ülkenin toplam dış ticaret cirosu %66,7 oluşturmuştur. Ülkenin en büyük ticaret ortakları: Türkiye (999.6 milyon $), Rusya (790.2 milyon $), Azerbaycan (600.6 milyon $).

2019 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7 065.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.2 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 2 102.2 მლნ. აშშ დოლარ იყო (12.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 4 963.1 მლნ. აშშ დოლარი (4.7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-ივლისში, 2 860.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტით გაიზარდა და 1 311.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 503.5 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 20.6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.0 პროცენტს შეადგენს. დსთ-ის ქვეყნებში კი ექსპორტირებულია 1 105.8 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 26.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 52.6 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება იმპორტს - ევროკავშირიდან შემოსული საქონლის მოცულობამ 1 280.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (12.6 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.8 პროცენტი

შეადგინა. დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული პროდუქციის მოცულობა კი 1 303.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (14.3 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.3 პროცენტია.

2019 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (999.6 მლნ. აშშ დოლარი) რუსეთი (790.2 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (600.6 მლნ. აშშ დოლარი).



Gürcistan Havacılık Pazarında Yeni Şirket Faaliyete Başlayacaktır
საქართველოს ავია ბაზარზე ახალი კომპანია იწყებს ოპერირებას

Gürcistan hava pazarında yeni şirket "RYANAIR" faaliyete başlayacaktır. Konu hakkında Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı tarafından açıklama yapılmıştır. Başlangıçta şirket Kutaisi' havalimanından Marsilya'ya ve Bolonya'ya haftada 2 kez, Tiflis havalimanından ise haftada dört kez Milano'ya uçuş gerçekleştirecektir. Avrupa'ya yönelik direkt uçuşlar 6 Kasım 2019'da başlayacak ve toplam olarak 10 varış noktasını kapsayacaktır.

საქართველოს ავია ბაზარზე ახალი კომპანია - Ryanair შემოდის. აღნიშნულის თაობაზე განცხადებას საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო აკეთებს. კომპანია თავდაპირველად ქუთაისის აეროპორტიდან მარსელისა და ბოლონიის მიმართულებით კვირაში 2-2 სიხშირით შეასრულებს რეისებს, ხოლო თბილისის აეროპორტიდან კვირაში 4 სიხშირით მილანში იფრენს. პირდაპირი ავიარეისები ევროპის მიმართულებით 2019 წლის 6 ნოემბრიდან დაიწყება და ჯამურად 10 მიმართულებას მოიცავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC DUTY FREE Georgia Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაპეხტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM

Bakuriani'de yeni Altyapı İnşaatı Başlıyor
ბაკურიანში ახალი ინფრასტრუქტურის შენება იწყება

Bakuriani Didveli bölgesinde üç tane yeni 5 kilometre uzunluğunda teleferik yapılacaktır. Proje inşaatını dünyanın önde gelen Avusturya-İsviçre şirketi "Dopelmayer-Garaventa Grubu" tarafından gerçekleştirilecek. İnşaatın başlatılması için düzenlenen etkinlik Gürcistan Başbakan Sn. Mamuka Bakhtadze tarafından açılmıştır. Etkinliğe Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava da katılmıştır. Bakanı açıklamasında 2023 yılında Bakuriani'de gerçekleştirecek olan "Free Style" dünya şampiyonluk için yeni teleferiklerin yanı sıra çok sayıda önemli projelerinde gerçekleştireceğini söyledi. ktir. Bu projeler arasında yeni kayak merkezleri, biatlon, buz pateni ve kayak pistleri gelmektedir.

ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიაზე სამი ახალი საბაგირო აშენდება, რომელთა საერთო სიგრძე 5 კმ. იქნება. მშენებლობას მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ავსტრიულ-შვეიცარული კომპანია „დოპელმაიერ-გარავენტა ჯგუფი" განახორციელებს. მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება ბაკურიანში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ გახსნა, რომელსაც ასევე ესწრებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა. მინისტრის განცხადებით, 2023 წლის ფრისტაილის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ბაკურიანში ჩატარდება, ახალი საბაგიროების მშენებლობასთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. მათ შორის: ახალი სათხილამურო არეალები, ბიატლონი, ყინულის მოედნები და ასევე ტრამპლინიდან ხტომის ინფრასტრუქტურა.

Gürcistan'dan İkinci El Arabalarının Yeniden İhracatı
ავტომობილების რეექსპორტი საქართველოდან

Gürcistan İçişleri Bakanlığı tarafından yayımlanan bilgilere göre, 2018 yılında Gürcistan'dan 58 341 adet ikinci el araba ihraç edilmiştir. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla (31 670 adet) %84.2 daha fazladır. En büyük ticaret ortaklar arasında Ermenistan, Azerbaycan, Ukrayna, Kırgızistan, Rusya ve Birleşik Arap Emirlikleri. Gürcistan'dan en çok ihraç edilen top 10 araç markaları aşağıdaki gibidir:

შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს ქვეყნიდან ჯამში, 58 341 სატრანსპორტო საშუალების ექსპორტი განხორციელდა, რაც 84,2%-ით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2017 წელს საქართველოდან 31 670 სატრანსპორტო საშუალება გავიდა. რაც შეეხება მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, ესენია: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყირგიზეთი, რუსეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები. Top-10 საავტომობილო მარკა კი, რომელიც საქართველოდან რეექსპორტით გავიდა, ასე გამოიყურება:

Marka მარკა	OPEL	MERCEDEC BENZ	TOYOTA	NISSAN	HYUNDAI	VOLKWAGEN	FORD	KIA	BMW	HONDA
Miktar რაოდენობა	13 234	8 113	7 798	4 767	4 529	4 097	3 061	2 352	1 809	1 492

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (30.08.2019)

USD/GEL – 2.9379 TRY/GEL – 0.5038 EUR/GEL – 3.2531 GBP/GEL – 3.5845

USD/GEL

23 – 30 Ağustos 2019

USD/TRY

23 – 30 Ağustos 2019

TRY/GEL

23 – 30 Ağustos 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66